

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ქ. თბილისი

31 მაისი, 2016 წ.

საქართველოს მთავრობა (შემდგომში "მთავრობა"), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძეს მიერ; და

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ (შემდგომში "კომპანია") ს/კ: 404391975, წარმოდგენილი მისი დირექტორის, მამუკა კობახიძის მიერ,

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში "მემორანდუმი") შემდეგზე:

1. მიზანი

1.1. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, ამ მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ქარის მონაცემთა შესწავლა შემდგომში ქარის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების მიზნით წინამდებარე მემორანდუმის და მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებული პირობების მიხედვით (შემდგომში „პროექტი“).

2. პროექტის ვადები და პირობები

2.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) თვეში უზრუნველყოფს:

ა) მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ტერიტორიაზე მემორანდუმის დანართი N2 გრაფიკის შესაბამისად ქარის მონაცემთა შესწავლას;
ბ) დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენას.

2.2. იმ შემთხვევაში თუ 2.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შედეგად კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება ქარის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ, 2.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობაზე;
ბ) ელექტროსადგურ(ებ)ის დადგმულ სიმძლავრეს და საშუალო წლიურ გამომუშავებას;
გ) ელექტროსადგურ(ებ)ის ადგილმდებარეობის ზუსტ კოორდინატებს;
დ) ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის დაწყების, მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების თარიღებს, აგრეთვე თითოეული ელექტროსადგურისთვის განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობას;
ე) მოპოვებულ ქარის მონაცემებს და მასთან დაკავშირებულ სრულ დოკუმენტაციას;

ვ) წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ვადითა და ოდენობით სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-სათვის მისაყიდი ელექტროენერჯის ფასს.

2.3. 2.2. პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან 2 თვის ვადაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ კომპანიის მიერ ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის საკითხს და იღებენ გადაწყვეტილებას ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის შესახებ.

2.4. 2.3. პუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 2.3. პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 თვისა მხარეთა შორის იდება ხელშეკრულება (ხელშეკრულებები) ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“).

2.5. ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან კომპანია ვალდებულია დადგენილ ვადაში და პირობებით მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს საბანკო გარანტია, ასაშენებელი ელექტროსადგურ(ებ)ის ჯამური დადგმული სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ პერიოდისათვის დადგენილი კურსის შესაბამისად) ოდენობით (შემდგომში „სამშენებლო გარანტია“). ამასთან, სამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. სამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს.

2.6. მთავრობა, ამ მემორანდუმის დადებიდან 15 (თხუთმეტი) თვის განმავლობაში კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცემს დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ქარის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას სხვა პირს, გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.7. ხელშეკრულების დადების ვადის ამოწურვამდე მთავრობა არ გადასცემს სხვა პირ(ებ)ს დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ქარის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას, რომლის მშენებლობაზეც კომპანიის მიერ მემორანდუმის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება და ამ მემორანდუმის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შესაბამისი ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ, გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.8. მთავრობა უფლებამოსილია 2.6. ან/და 2.7 პუნქტებით დადგენილი ვადის გასვლამდე კომპანიის თანხმობის გარეშე გადასცეს დანართი N1-ით განსაზღვრულ ტერიტორიაზე იმ ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლებას სხვა პირს, რომელზეც (რომლებზეც):

ა) მთავრობას გააჩნია დასაბუთებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ კომპანია ვერ უზრუნველყოფს დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ქარის მონაცემთა მონაცემების მოპოვებას;

ბ) კომპანიამ უარი განაცხადა ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობაზე.

2.9. კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ქარის მონაცემები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტები (მათ შორის მონაცემები) სრულად, უსასყიდლოდ, ექსკლუზიური საკუთრების უფლებით, თუ:

ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წინადადება არ იქნა წარდგენილი;

ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება მაგრამ 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე;

გ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება;

დ) დადგა 2.8 პუნქტის შესაბამისი ნებისმიერი გარემოება.

2.10. ქვეყნის ელექტროენერჯით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად აშენებული თითოეული ელექტროსადგურის, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი (“ზამთრის პერიოდი”)) წლიური გენერაციის 20%-ის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოში, ადგილობრივ ბაზარზე, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

3. მიწის საკუთრების უფლება და მშენებლობის ნებართვა

3.1. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ წესით საკუთრებაში გადაცემას.

3.2. მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმოუჩენს კომპანიას სათანადო დახმარებას მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მიღებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.

4. პროექტის ხარჯები, ინფორმაციის მიწოდება

4.1. პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

4.2. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დადების დღიდან ვალდებულია კვარტალში ერთხელ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში, რომელიც უნდა ასახავდეს კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების პროგრესს, რაც უნდა შეიცავდეს კონკრეტული კვლევის დასაბუთების შესახებ ინფორმაციას, მიღებული შედეგებს, გაანგარიშებებს, გათვლებს, პარამეტრებს, გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების მითითებით. თუ აღნიშნული ანგარიში, მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის შესაბამისი ხარისხის, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო წერილობითი შეტყობინების მეშვეობით კომპანიას უსაზღვრავს დამატებით გონივრულ ვადას 3 თვემდე აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული დამატებითი დრო არ განაპირობებს 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდას.

5. მემორანდუმის მოქმედება

5.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე;

5.2. მემორანდუმის მოქმედება შეწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) იმ ელექტროსადგურ(ებ)ის ნაწილში, რომელთა:

ბ.ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება - 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე - 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.გ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება - 2.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე;

გ) თუ ადგილი ექნება 2.8. პუნქტის ერთი ან მეტი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს შესაბამის ელექტროსადგურ(ებ)თან მიმართებაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.3. წინამდებარე მემორანდუმით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მემორანდუმის მოქმედების და კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ აუქმებს 2.9. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებებს.

6. ცვლილებები

6.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. თუ მემორანდუმის რომელიმე დებულება ძალას დაკარგავს, ეს არ იმოქმედებს მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

7. შეტყობინება

7.1. მხარეების მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით (ორიგინალთან ერთად). შეტყობინება შევა ძალაში დაუყოვნებლივ მიმდების მიერ მისი მიღებისთანავე.

8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

8.1. წინამდებარე მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.2. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ასლები, მემორანდუმის ენა

9.1. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

10. ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“

მამუკა კობახიძე

დანართი N1

ელექტროსადგურის დასახელება	ადგილმდებარეობა	კოორდინატები
ქართლი 2	გორის და ქარელის მუნიციპალიტეტების ტერიტორია	მართკუთხედის უკიდურესი წერტილების კოორდინატები: X Y
		411941 4655044
		411940 4658264
		417343 4658266
		417343 4657042
		418057 4657042
		418054 4653049
		415925 4653050
		415925 4654047
		414926 4654047
414926 4655045		

დანართი 2

ელექტროსადგურის დასახელება: ქართლი 2	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან				
	3	6	9	12	15
მონაცემთა დამუშავება	X				
გენერაციის შეფასება		X	X	X	X
ტოპოგრაფია		X			
ქსელთან მიერთების კვლევა		X	X	X	X
ქარის სადგურის სქემის ოპტიმიზება		X	X	X	X
ალტერნატივების არჩევა ტექნოლოგიისთვის		X	X	X	X
შიდა შეერთებების დიზაინი		X	X	X	X
პროექტისთვის საჭირო მიწების განსაზღვრა		X	X	X	X
გეოლოგია, გეოფიზიკა				X	
ხარჯთაღრიცხვა და ეკონომიკური შეფასება				X	
საბოლოო ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩაბარება				X	
ტექნიკური დიზაინი					X
შესყიდვებისა და განხორციელების გეგმა					X
პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული წინადადების წარგდენა მთავრობისთვის					X



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2604 2015 წლის 3 დეკემბერი ქ.თბილისი


საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა ვახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

Handwritten signature



ირაკლი ღარიბაშვილი



№869

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010132875191115

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№8692

19 / ნოემბერი / 2015 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის
მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმაღალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 11 ნოემბრის №04/4238 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურს“ შორის დასადგები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე